

* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები, ასევე, მინიმალური მონაცემები.
* შენიშვნა! ფრცხილებში ინფორმაცია ჩაიწერება ინდივიდუალურად კრედიტის ვადიდან და მოცულობიდან გამომდინარე
** შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.
„შენიშვნა! ცისფრად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და ყველა ტექსტი არ იქნება გამოყენებული.

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

განვადების ხელშეკრულება N [ხელშეკრულების ნომერი]

კრედიტის საპროცენტო განაკვეთი

- კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი = **ფიქსირებული**
- კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი = [რიცხვი] ან პროცენტის გარეშე
- კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი = [რიცხვი]

ფინანსური ხარჯები

- ყოველთვიური შენატანი (ძირითადი თანხა + პროცენტი) = [რიცხვი] ყოველთვიურად ან **თანდართული გრაფიკის შესაბამისად**
- ვადის ბოლოს შენატანი = [რიცხვი]
- დაზღვევის საკომისიო = [რიცხვი]
- მიმდინარე ანგარიშის ყოველთვიური მომსახურების საკომისიო = [რიცხვი]
- კრედიტის გაცემის საკომისიო = [რიცხვი]
- სესხის მონიტორინგის ჯამური საკომისიო = [რიცხვი]
- სხვაობა სახელშეკრულებო და პირდაპირი ანგარიშსწორების ფასს შორის = [რიცხვი] ლარი.

ხელშეკრულებით დაფინანსებული პროდუქტის ფასი

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასი [რიცხვი]
- პირდაპირი ანგარიშსწორების ფასი [რიცხვი]

სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია

- კრედიტის მთლიანი თანხის ოდენობა = [რიცხვი] ლარი.
- მომხმარებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა = [რიცხვი]
- კრედიტის ვადა = [რიცხვი] თვე
- საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების ვადა = [რიცხვი] თვე
- კლიენტის საკუთარი სახსრებით კრედიტის თანხ(ებ)ის სრული ან ნაწილობრივი წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში:
- წინასწრებით დაფარვის საკომისიო შეადგენს გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის 2%-ს, თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 12-დან 24 თვემდე ვადა 1%-ს, თუ დარჩენილია 6-დან 12 თვემდე ვადა 0.5%-ს, ხოლო 0-დან 6 თვემდე ვადის შემთხვევაში -0%-ს (**ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში**)
- სხვა საფინანსო ორგანიზაცი(ებ)იდან კრედიტის თანხ(ებ)ის სრული ან ნაწილობრივი რეფინანსირების შემთხვევაში:

* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები, ასევე, მინიმალური მონაცემები.

* შენიშვნა! ფრცხილებში ინფორმაცია ჩაიწერება ინდივიდუალურად კრედიტის ვადიდან და მოცულობიდან გამომდინარე

** შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.

„შენიშვნა! ცისფრად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და ყველა ტექსტი არ იქნება გამოყენებული.

- წინსწრებით დაფარვის საკომისიო შეადგენს თანხის გადახდის მომენტისთვის კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 0,5%-ს, თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვემდე პერიოდი - 0%-ს; (ფიზიკური პირის შემთხვევაში)
- წინსწრებით დაფარვის საკომისიო შეადგენს გადახდის მომენტისთვის კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 0,5%-ს, თუ კლიენტის ვალდებულებების ჯამური მოცულობა ბანკში არ აღემატება 2,000,000 ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში, 0%-ს თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვემდე პერიოდი, ხოლო თუ კლიენტის ვალდებულებების ჯამური მოცულობა ბანკში აღემატება 2,000,000 ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში, წინსწრებით დაფარვის საკომისიოს გადახდა განხორციელდება საკუთარი სახსრებით კრედიტის დაფარვისათვის განსაზღვრული წესითა და ოდენობით. (იურიდიული პირის შემთხვევაში)
- ვადაგადაცილების ჯარიმა = დარჩენილი სრული ძირითადი თანხის 0.27%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე (პირგასამტეხლოს დარიცხვა მოხდება მაქსიმუმ 275 დღის განმავლობაში) და ერთჯერადი პირგასამტეხლო 20 (ოცი) ლარის (ან მისი ეკვივალენტის) ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებაზე. ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას.
- ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, კლიენტის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში – არანაკლებ ერთი თვით ადრე. ამასთან, წინამდებარე ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობებით გათვალისწინებული კლიენტის ქმედებით გამოწვეული გარემოებების დადგომის გამო ხელშეკრულების ცვლილებისას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ბანკი კლიენტს ატყობინებს აღნიშნულის შესახებ, ცვლილებების განხორციელებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. კლიენტისათვის აღნიშნული შეტყობინებ(ებ)ის გაგზავნა განხორციელდება წერილობით/ელექტრონული ფოსტით/ინტერნეტბანკით/მოკლე ტექსტური შეტყობინებით. ხელშეკრულების პირობების ცვლილება, რომელიც ხორციელდება კლიენტის სასარგებლოდ, არ საჭიროებს კლიენტის თანხმობას ან/და მოწონებას ან/და რაიმე ფორმით კლიენტის ინფორმირებას.
- მომხმარებელს უფლება აქვს ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე, ამ ხელშეკრულების დადებიდან/მიწოდებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში“. ხელშეკრულებაზე უარის თქმის დეტალური წესები პირობები იხილეთ წინამდებარე საკრედიტო ხელშეკრულებაში მითითებულ პუნქტში, სახელწოდებით - „ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობები“. [ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება არ ვრცელდება ისეთ კრედიტებზე, რომლებიც უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით ან/და „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფინანსური გირავნობით. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება აგრეთვე არ ვრცელდება ისეთ კრედიტებზე, რომლებიც

* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები, ასევე, მინიმალური მონაცემები.

* შენიშვნა! ფრეზილებში ინფორმაცია ჩაიწერება ინდივიდუალურად კრედიტის ვადიდან და მოცულობიდან გამომდინარე

** შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.

„შენიშვნა! ცისფრად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და ყველა ტექსტი არ იქნება გამოყენებული.

უზრუნველყოფილია არამატერიალური ქონებრივი სიკეთით/მოდრავი ქონებით, გარდა ავტოსატრანსპორტო საშუალებით ან/და ძვირფასი ლითონებით ან/და ძვირფასი ქვებით უზრუნველყოფილი კრედიტებისა].

- „მომხმარებელს არ აქვს უფლება უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა ან/და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 9 მარტის №32/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის მიხედვით“
- მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ფინანსური ორგანიზაციის პრეტენზიების სამსახურში ზეპირი, წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.
- გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდსა – <http://nbg.gov.ge/cp> და ცხელ ხაზზე – 032 2 406 406

* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები, ასევე, მინიმალური მონაცემები.
 * შენიშვნა! ფრცხილებში ინფორმაცია ჩაიწერება ინდივიდუალურად კრედიტის ვადიდან და მოცულობიდან გამომდინარე
 ** შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.
 „შენიშვნა! ცისფრად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და ყველა ტექსტი არ იქნება გამოყენებული.

განვადების ხელშეკრულება N [ხელშეკრულების ნომერი]

სერვის ცენტრი: [---]

თარიღი: [---]

1. საკრედიტო ხელშეკრულების მხარეები

ბანკი	
სახელწოდება:	ს.ს.კრედიტ ბანკი
საიდენტიფიკაციო ნომერი:	205232238
იურიდიული მისამართი:	ქ. თბილისი, თაბუკაშვილის ქ. #27
ფაქტობრივი მისამართი:	ქ. თბილისი, თაბუკაშვილის ქ. #27
წარმომადგენელი (სახელი და გვარი):	[სახელი/გვარი]
თანამდებობა/სტატუსი:	[თანამდებობა]
ტელეფონის ნომერი:	0322424242
რეგისტრაციის/ლიცენზირების ფორმა:	კომერციული ბანკი
საზედამხედველო ორგანო:	საქართველოს ეროვნული ბანკი
ელექტრონული ფოსტის მისამართი:	info@credo.ge

2. საკრედიტო ხელშეკრულების საგანი

2.1. საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე ბანკი გასცემს კლიენტზე საბანკო კრედიტს საკრედიტო ხელშეკრულების მე-3 მუხლში მითითებული პირობებით.

3. საბანკო კრედიტის პირობები

3.1. კრედიტის საპროცენტო განაკვეთი

- კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი = **ფიქსირებული**
- კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი = [რიცხვი] ან პროცენტის გარეშე
- კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი = [რიცხვი]

3.2. ფინანსური ხარჯები

- { ყოველთვიური შენატანი (ძირითადი თანხა + პროცენტი) = [რიცხვი] ყოველთვიურად ან თანდართული გრაფიკის შესაბამისად
- ვადის ბოლოს შენატანი = [რიცხვი]
- დაზღვევის საკომისიო = [რიცხვი]
- მიმდინარე ანგარიშის ყოველთვიური მომსახურების საკომისიო = [რიცხვი]
- კრედიტის გაცემის საკომისიო = [რიცხვი]
- სესხის მონიტორინგის ჯამური საკომისიო = [რიცხვი]
- სხვაობა სახელშეკრულებო და პირდაპირი ანგარიშსწორების ფასს შორის = [რიცხვი] ლარი.

* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები, ასევე, მინიმალური მონაცემები.

* შენიშვნა! ფრცხილებში ინფორმაცია ჩაიწერება ინდივიდუალურად კრედიტის ვადიდან და მოცულობიდან გამომდინარე

** შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.

„შენიშვნა! ცისფრად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და ყველა ტექსტი არ იქნება გამოყენებული.

3.3. ხელშეკრულებით დაფინანსებული პროდუქტის ფასი

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასი = [რიცხვი]
- პირდაპირი ანგარიშსწორების ფასი = [რიცხვი]

3.4. სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია

- კრედიტის მთლიანი თანხის ოდენობა = [რიცხვი][ვალუტა]
- მომხმარებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა = [რიცხვი]
- კრედიტის თანხიდან, კლიენტის მიერ მისაღები თანხის ოდენობა = [რიცხვი]
- კრედიტის ვადა = [რიცხვი] თვე.
- საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების ვადა = [რიცხვი] თვე.
- კლიენტის საკუთარი სახსრებით კრედიტის თანხ(ებ)ის სრული ან ნაწილობრივი წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში:
- წინანსწრებით დაფარვის საკომისიო შეადგენს გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის 2%-ს, თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 12-დან 24 თვემდე ვადა 1%-ს, თუ დარჩენილია 6-დან 12 თვემდე ვადა 0.5%-ს, ხოლო 0-დან 6 თვემდე ვადის შემთხვევაში -0%-ს (ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში)
- სხვა საფინანსო ორგანიზაცი(ებ)იდან კრედიტის თანხ(ებ)ის სრული ან ნაწილობრივი რეფინანსირების შემთხვევაში:
- წინსწრებით დაფარვის საკომისიო შეადგენს თანხის გადახდის მომენტისთვის კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 0.5%-ს, თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვემდე პერიოდი - 0%-ს; (ფიზიკური პირის შემთხვევაში)
- წინსწრებით დაფარვის საკომისიო შეადგენს გადახდის მომენტისთვის კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 0.5%-ს, თუ კლიენტის ვალდებულებების ჯამური მოცულობა ბანკში არ აღემატება 2,000,000 ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში, 0%-ს თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვემდე პერიოდი, ხოლო თუ კლიენტის ვალდებულებების ჯამური მოცულობა ბანკში აღემატება 2,000,000 ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში, წინსწრებით დაფარვის საკომისიოს გადახდა განხორციელდება საკუთარი სახსრებით კრედიტის დაფარვისათვის განსაზღვრული წესითა და ოდენობით. (იურიდიული პირის შემთხვევაში)
- ვადაგადაცილების ჯარიმა = დარჩენილი სრული ძირითადი თანხის 0.27%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე (პირგასამტეხლოს დარიცხვა მოხდება მაქსიმუმ 275 დღის განმავლობაში) და ერთჯერადი პირგასამტეხლო 20 (ოცი) ლარის (ან მისი ეკვივალენტის) ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებაზე. ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას.
- ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, კლიენტის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში – არანაკლებ ერთი თვით ადრე. ამასთან, წინამდებარე ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობებით გათვალისწინებული კლიენტის ქმედებით გამოწვეული გარემოებების დადგომის გამო ხელშეკრულების ცვლილებისას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ბანკი კლიენტს ატყობინებს აღნიშნულის შესახებ, ცვლილებების განხორციელებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. კლიენტისათვის აღნიშნული შეტყობინებ(ებ)ის გაგზავნა განხორციელდება წერილობით/ელექტრონული ფოსტით/ინტერნეტბანკით/მოკლე ტექსტური შეტყობინებით. ხელშეკრულების პირობების ცვლილება, რომელიც ხორციელდება კლიენტის სასარგებლოდ, არ საჭიროებს კლიენტის თანხმობას ან/და მოწონებას ან/და რაიმე ფორმით კლიენტის ინფორმირებას.

* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები, ასევე, მინიმალური მონაცემები.

* შენიშვნა! ფრცხილებში ინფორმაცია ჩაიწერება ინდივიდუალურად კრედიტის ვადიდან და მოცულობიდან გამომდინარე

** შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.

„შენიშვნა! ცისფრად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და ყველა ტექსტი არ იქნება გამოყენებული.

- გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდსა – <http://nbg.gov.ge/cp> და ცხელ ხაზზე – 032 2 406 406.

3.5. საკრედიტო ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობები:

- „მომხმარებელს უფლება აქვს ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე, ამ ხელშეკრულების დადებიდან/მიწოდებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში“. **[ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება არ ვრცელდება ისეთ კრედიტებზე, რომლებიც უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით ან/და „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფინანსური გირავნობით. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება აგრეთვე არ ვრცელდება ისეთ კრედიტებზე, რომლებიც უზრუნველყოფილია არამატერიალური ქონებრივი სიკეთით/მოძრავი ქონებით, გარდა ავტოსატრანსპორტო საშუალებით ან/და ძვირფასი ლითონებით ან/და ძვირფასი ქვებით უზრუნველყოფილი კრედიტებისა].**
- **საკრედიტო ხელშეკრულების** გაფორმებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში, **კლიენტის** მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ განცხადების (წერილობითი, სტანდარტული წერილობითი) დაფიქსირება შესაძლებელია **ბანკის** სერვისცენტრ(ებ)ში ან/და დისტანციური არხში <https://mycredo.ge/>, რომლითაც უზრუნველყო **საკრედიტო ხელშეკრულების** გაფორმება. სტანდარტული წერილობითი ფორმა ხელმისაწვდომია **ბანკის** ნებისმიერ სერვისცენტრში. იმ შემთხვევაში, თუ მეთოთხმეტე კალენდარული დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, განცხადების წარდგენა შესაძლებელია **ბანკის** სერვისცენტრ(ებ)ში ან/და **ბანკის** სატელეფონო ცენტრის (ნომერი: 032 2424242) მეშვეობით მომდევნო სამუშაო დღეს.
- **საკრედიტო ხელშეკრულებაზე** უარის თქმის უფლების ვადის ათვლა იწყება: ა) **საკრედიტო ხელშეკრულების** დადების მომენტიდან; ბ) **საკრედიტო ხელშეკრულების** მიღების მომენტიდან, თუ **კლიენტს** ხელშეკრულება ჩაბარდება **ხელშეკრულების** გაფორმების შემდეგ.
- **ბანკისთვის საკრედიტო ხელშეკრულებაზე** უარის თქმის შესახებ შეტყობინების დაფიქსირებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა, **კლიენტმა** ბანკს უნდა გადაუხადოს კრედიტის ნარჩენი ძირითადი თანხა; კრედიტით სარგებლობის პერიოდში ხელშეკრულების შეწყვეტის დღემდე გრაფიკით დარიცხული და გადაუხდელი საპროცენტო სარგებელი, ხელშეკრულების შეწყვეტის დღემდე დარიცხული ჯარიმა; შეწყვეტის დღემდე გრაფიკით დარიცხული სიცოცხლის დაზღვევის სადაზღვევო პრემიის გადასახდელები, შეწყვეტის დღემდე დარიცხული სესხის მონიტორინგის ჯამური საკომისიო. **ბანკს** უფლება არ აქვს **კლიენტისაგან** მიიღოს რაიმე სახის სხვა კომპენსაცია, გარდა ადმინისტრაციული ორგანოს მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა ან/და სანოტარო ხარჯისა.
- **კლიენტის** ანგარიშზე საბანკო კრედიტის სრულად დასაფარად საკმარისი თანხის განთავსებით, ავტომატურად არ მოხდება საბანკო კრედიტის დაფარვა, თუ **კლიენტი** არ მოითხოვს დაფარვას წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული წესით. **კლიენტი** ვალდებულია **ბანკის** სერვისცენტრში წერილობითი ფორმით ან/და **ბანკის** სატელეფონო ცენტრის (ნომერი: 032 2424242) მეშვეობით, ზეპირი ფორმით შეატყობინოს **ბანკს** საბანკო კრედიტის სრულად დასაფარად საკმარისი თანხის საბანკო ანგარიშზე განთავსების შესახებ, რის შემდეგაც **ბანკი** ვალდებულია დაფაროს საბანკო კრედიტი დაუყოვნებლივ, თუ საბანკო კრედიტის დაფარვის მოთხოვნა მიღებულია სამუშაო დღეს; ბ) მომდევნო სამუშაო დღეს, თუ საბანკო კრედიტის დაფარვის მოთხოვნა მიღებულია არასამუშაო დღეს.
- **კლიენტის** მიერ **საკრედიტო ხელშეკრულებაზე** უარის თქმის შემთხვევაში, ასევე უქმდება მასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხელშეკრულება/გარიგება/შეთანხმება რომელიც დაიდო **ბანკთან** მესამე მხარესთან **ბანკსა** და მესამე მხარეს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ამ შემთხვევაში, **ბანკმა** როგორც **კლიენტს** ასევე, მესამე მხარეს დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს დაკავშირებული ხელშეკრულების გაუქმების შესახებ.
- **კლიენტის** მიერ **საკრედიტო ხელშეკრულებაზე** უარის თქმის შემთხვევაში, ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება **კლიენტის** მიერ **ბანკის** წინაშე წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული გადასახდელების და ვალდებულების სრულად შესრულების შემდეგ.

* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები, ასევე, მინიმალური მონაცემები.

* შენიშვნა! ფრცხილებში ინფორმაცია ჩაიწერება ინდივიდუალურად კრედიტის ვადიდან და მოცულობიდან გამომდინარე

** შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.

„შენიშვნა! ცისფრად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და ყველა ტექსტი არ იქნება გამოყენებული.

- იმ შემთხვევაში თუ კლიენტი, უარის თქმის შესახებ შეტყობინების დაფიქსირებიდან/გაგზავნიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა არ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახდელების გადახდას, კლიენტი კარგავს უარის თქმის უფლებას და საბანკო კრედიტის გადახდა გაგრძელდება საკრედიტო ხელშეკრულებაზე თანდართული გრაფიკის შესაბამისად.
- კლიენტი ვალდებულია, მიუხედავად საკრედიტო ხელშეკრულებაზე უარის თქმის დაფიქსირებისა, ხელშეკრულების შეწყვეტის დღემდე, გადაიხადოს საკრედიტო ხელშეკრულებაზე თანდართული გრაფიკით განსაზღვრული ყოველთვიური ვადამოსული გადასახდელი, მათ შორის პირგასამტეხლო (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- საკრედიტო ხელშეკრულებაზე უარის თქმის პუნქტები არ ეხება კრედიტს, ოვერდრაფტს, საკრედიტო ბარათს, რომლის მთლიანი თანხა აღემატება 1 000 000 ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში, ამასთან, იურიდიულ პირზე/დაკავშირებულ საწარმოში შემავალ პირებზე გაცემულ კრედიტებს, თუ ამ პირზე/პირებზე ბანკში უკვე გაცემული და აქტიური კრედიტების ჯამური მოცულობა აღემატება 1 000 000 ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში;

3.6. საბანკო კრედიტის მიზნობრიობა: საბანკო კრედიტის გამოყენება მოხდება შემდეგი პროდუქტის (მომსახურების) შესაძენად: [დასახელება] გამყიდველის მონაცემები: [ტიპი][დასახელება][საიდენტიფიკაციო ნომერი][რეკვიზიტები]

3.6. კლიენტის თანამონაწილეობის თანხა: [რიცხვი]

4. საკრედიტო ხელშეკრულების არსებითი პირობები

4.1. კლიენტის მიერ, საკრედიტო ხელშეკრულებაში ან/და გენერალურ ხელშეკრულებაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლის ფარგლებშიც ფორმდება საკრედიტო ხელშეკრულება მითითებული რაიმე სახის საკონტაქტო მონაცემების შეცვლისას, ბანკისათვის შეტყობინების ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია აუნაზღაუროს ბანკს ამ ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ყველა სახის ზიანი.

4.2. კლიენტის მიერ საკრედიტო ხელშეკრულების რაიმე პირობის დარღვევის გამო, მათ შორის, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნობრიობის, ბანკთან გაფორმებული ნებისმიერი საკრედიტო ხელშეკრულების რაიმე პირობის დარღვევის გამო, ბანკი უფლებამოსილია მოსთხოვოს კლიენტს საბანკო კრედიტის ძირითადი თანხის, დარიცხული/დასარიცხი პროცენტის და ნებისმიერი გადასახდელის (მათ შორის პირგასამტეხლოს და გრაფიკით გათვალისწინებული სიცოცხლის დაზღვევის სადაზღვევო პრემიის გადასახდელის) სრულად ან ნაწილობრივ, დაუყოვნებლივ, ვადაზე ადრე გადახდა.

4.3. ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედება, თუ კლიენტი დაარღვევს საკრედიტო ხელშეკრულების რაიმე პირობას, მათ შორის წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მიზნობრიობას ან/და კლიენტი დაარღვევს ბანკთან გაფორმებულ ნებისმიერი საკრედიტო ხელშეკრულების პირობას. ბანკის მიერ საკრედიტო ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ, სრულად გადაიხადოს დარჩენილი ძირითადი თანხა და გრაფიკით გათვალისწინებული საპროცენტო სარგებელი და სიცოცხლის დაზღვევის სადაზღვევო პრემიის გადასახდელები, ხოლო პირგასამტეხლოს გადახდა მოხდება მხოლოდ საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტამდე პერიოდისათვის.

4.4. საკრედიტო ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით. ამ შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ, სრულად გადაიხადოს დარჩენილი ძირითადი თანხა და სიცოცხლის დაზღვევის სადაზღვევო პრემიის გადასახდელები, ხოლო და გრაფიკით გათვალისწინებული საპროცენტო სარგებლის და პირგასამტეხლოს გადახდა მოხდება მხოლოდ საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტამდე პერიოდისათვის.

* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები, ასევე, მინიმალური მონაცემები.

* შენიშვნა! ფრცხილებში ინფორმაცია ჩაიწერება ინდივიდუალურად კრედიტის ვადიდან და მოცულობიდან გამომდინარე

** შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.

„შენიშვნა! ცისფრად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და ყველა ტექსტი არ იქნება გამოყენებული.

4.5. თუ **საკრედიტო ხელშეკრულებიდან/გენერალური ხელშეკრულებიდან** გამომდინარე **ბანკის** მოთხოვნა უზრუნველყოფილია რაიმე სახის უზრუნველყოფის საშუალებით (მათ შორის იპოთეკით, გირავნობით ან/და თავდებობით) **ბანკის** მოთხოვნა **კლიენტის** მიმართ არ ითვლება დაკმაყოფილებულად, თუ უზრუნველყოფის საშუალების ნებისმიერი ფორმით რეალიზაციის (მათ შორის ბანკის საკუთრებაში გადასვლისას) შედეგად ამონაგები თანხა არ არის საკმარისი უზრუნველყოფილი მოთხოვნის სრულად დასაფარად. გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა. ამასთან, თუ საბანკო კრედიტი გაცემულია „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 13 მარტის №44/04 ბრძანებით განსაზღვრული გადახდისუნარიანობის ანალიზის გარეშე, ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება მხოლოდ გენერალური ხელშეკრულების/საბანკო კრედიტის უზრუნველყოფის საშუალებ(ებ)ის მიმართ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი ფორმით გადახდევინების მიქცევით (მათ შორის, ქონების რეალიზაციის ან/და დასაკუთრების გზით), გარდა ამავე კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა, კერძოდ, უზრუნველყოფის საგნის განზრახ განადგურების/გადამალვის შემთხვევებისა.

4.6. **საკრედიტო ხელშეკრულებაზე** ხელმოწერით {InsuredBorrowersAndCoBorrowers} ადასტურებს, რომ ბანკმა განახორციელოს მისი/მათი სიცოცხლის დაზღვევა საბანკო კრედიტის მოქმედების ვადის განმავლობაში (მაგრამ არაუმეტეს იმ პერიოდამდე, როდესაც კლიენტს შეუსრულებდა 75 წელი). მხარეები თანხმდებიან, რომ კლიენტი დაზღვეული იქნება შემდეგ სადაზღვევო კომპანიაში: {InsuranceCompanyName} (საიდენტიფიკაციო ნომერი: {InsuranceCompanyIDNumber}). დაზღვევის დეტალური პირობები მოცემულია ვებ-გვერდზე: <https://bit.ly/3wQyN7J> ზემოაღნიშნულ კლიენტ(ებ)ზე სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალური ლიმიტის მოცულობა განისაზღვრება შემდეგნაირად {InsuredBorrowersAndCoBorrowersAmounts} მხარეები თანხმდებიან, რომ ჩარიცხული სადაზღვევო თანხით შემცირდება კლიენტ(ებ)ის ვალდებულება ბანკის წინაშე და თუ აღნიშნული სადაზღვევო თანხით სრულად არ ფარება კლიენტ(ებ)ის ვალდებულება ბანკის წინაშე, საბანკო კრედიტის ვადა დარჩება უცვლელი, ხოლო გადახდის გრაფიკით განსაზღვრული გადასახდელების ოდენობა შემცირდება შესაბამისი პროპორციით.

4.7. **მხარეები** ადასტურებენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ **საკრედიტო ხელშეკრულების მხარეს** წარმოადგენს ერთზე მეტი **კლიენტი**:

4.7.1. თითოეული ასეთი **კლიენტი** წარმოადგენს **ბანკის** მიმართ სოლიდარულ მოვალეს.

4.7.2. **ბანკი** უფლებამოსილია მოთხოვნა წაუყენოს ნებისმიერ (ერთ ან რამდენიმე) **კლიენტს**.

4.7.3. **ბანკი** უფლებამოსილია საბანკო კრედიტის თანხა ჩარიცხოს ერთი ან რამდენიმე **კლიენტის** ანგარიშზე, საკუთარი შეხედულებისამებრ (ასევე, თუ საბანკო კრედიტის თანხის ჩარიცხვა ხდება 1-ზე მეტი **კლიენტის** ანგარიშზე, ჩასარიცხი თანხის პროპორციასაც ცალმხრივად განსაზღვრავს **ბანკი**), თუ უშუალოდ **საკრედიტო ხელშეკრულებით** სხვა პირობა არ არის განსაზღვრული.

4.7.4. თითოეული **კლიენტი** უფლებამოსილია წარმოადგინოს დანარჩენი **კლიენტები** **ბანკთან** ურთიერთობაში. **კლიენტი/უზრუნველყოფილი** საგნის მესაკუთრე/თავდები უფლებამოსილია ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, დაფაროს **საბანკო კრედიტი** ვადაზე ადრე (როგორც სრულად, ისე ნაწილობრივ). **კლიენტი** უფლებამოსილია დანარჩენი **კლიენტების** სახელით ხელი მოაწეროს **საკრედიტო ხელშეკრულების** პირობების ცვლილების დოკუმენტს (მათ შორის **საკრედიტო ხელშეკრულების** თავსართს, გადახდის გრაფიკს და ა.შ.), შეცვალოს გადახდის თარიღი და შეასრულოს ყველა სხვა მოქმედება, როგორც სოლიდარულმა მოვალემ.

4.8. **კლიენტი** ადასტურებს, რომ სრულად გაეცნო **საკრედიტო ხელშეკრულების** დანართს, რომელიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს და რომელიც სტანდარტული პირობების სახით „საკრედიტო ხელშეკრულების სტანდარტული პირობები“ მოცემულია **ბანკის** ვებ-გვერდზე: <https://credobank.co/4eQzmDB>.

4.9. **მხარეები** თანხმდებიან, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ, **ბანკის** სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეულ იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები, ასევე, მინიმალური მონაცემები.

* შენიშვნა! ფრეზილებში ინფორმაცია ჩაიწერება ინდივიდუალურად კრედიტის ვადიდან და მოცულობიდან გამომდინარე

** შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.

„შენიშვნა! ცისფრად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და ყველა ტექსტი არ იქნება გამოყენებული.

4.10. **ბანკის** საზედამხედველო ორგანოს წარმომადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი; მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N2 (თბილისის იუსტიციის სახლი). [SakreditoShuamavali].

4.11. **კლიენტი** აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ არ არღვევს/არ დაარღვევს საქართველოში მოქმედ და საერთაშორისოდ აღიარებულ გარემოსდაცვით, შრომის და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის შესახებ კანონმდებლობას და **ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში დანერგავს გარემოს, შრომის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ წესებსა და პროცედურებს. **კლიენტის** მიერ წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული გარანტიის დარღვევა წარმოადგენს **საკრედიტო ხელშეკრულების** მნიშვნელოვან დარღვევას და **ბანკი** უფლებამოსილი იქნება ნებისმიერ დროს მოსთხოვოს **კლიენტს ბანკის** წინაშე არსებული ვალდებულებების (როგორც ვადამოსულის, ისე ვადამოუსვლელის) დაუყოვნებლივ შესრულება.

4.12. თუ **კლიენტს ბანკის** წინაშე გააჩნია ერთზე მეტი ვადამოსული/ვადადადაცილებული საკრედიტო დავალიანება, მათი დაფარვის რიგითობის არჩევა შესაძლებელი იქნება **ბანკის** სერვის-ცენტრში, **საბანკო დღის** 16:00 საათამდე.

4.13. თუ **კლიენტს** გააჩნია რამდენიმე სახის ვადამოსული დავალიანება **ბანკის** წინაშე, როგორც უშუალოდ **საკრედიტო ხელშეკრულებიდან**, ისე ნებისმიერი სხვა სახის გარიგებიდან (მათ შორის საკრედიტო ხელშეკრულებიდან) გამომდინარე, აღნიშნული ვალდებულებების შესრულების რიგითობას ცალმხრივად განსაზღვრავს **ბანკი**, თუ **კლიენტი** არ ისარგებლებს ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული დაფარვის რიგითობის არჩევის წესით.

4.14. **კლიენტის** მიერ გადახდილი ან/და მის ანგარიშზე არსებული თანხით, მათ შორის საბანკო კრედიტის სრულად ან ნაწილობრივ წინასწარ, ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში (მათ შორის კრედიტზე საშეღავათო პერიოდში კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში), პირველ რიგში იფარება დარიცხული ჯარიმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დარიცხული მომსახურების საკომისიოები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ დარიცხული საპროცენტო სარგებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ბოლოს გადასახდელი ძირი. ამასთან, **კლიენტის** ანგარიშზე საბანკო კრედიტის სრულად დასაფარად საკმარისი თანხის განთავსებით, ავტომატურად არ მოხდება საბანკო კრედიტის წინსწრებით დაფარვა, თუ ამას პირდაპირ არ ითვალისწინებს **საკრედიტო ხელშეკრულება** ან/და არ მოითხოვს **კლიენტი**.

4.15. **კლიენტის** მიერ პრეტენზიის დაფიქსირება შესაძლებელია როგორც **ბანკის** სერვისცენტრებში, ისე ვებ-გვერდის <https://credobank.co/47W9kg0>, **ბანკის** ოფიციალური „ფეისბუქის“ გვერდის <https://www.facebook.com/CredoBank> ან/და **ბანკის** სატელეფონო ცენტრის (ნომერი: 032 2424242) მეშვეობით, ზეპირი, წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით. სტანდარტული წერილობითი პრეტენზიის ფორმა ხელმისაწვდომია **ბანკის** ნებისმიერ სერვის-ცენტრში. პრეტენზიის განხილვის პროცედურის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ვებ-გვერდზე: <https://credobank.co/3BDT1Z9>. პრეტენზიას განიხილავს **ბანკის** მომხმარებელთა პოზიტიური გამოცდილების მართვის დეპარტამენტი. **ბანკის** მიერ პრეტენზიის გახილვა მოხდება საქართველოს კანონმდებლობისა და **ბანკში** დადგენილი პროცედურების შესაბამისად და **კლიენტისათვის** პასუხის დაბრუნება მოხდება ნებისმიერი ფორმით პრეტენზიის მიღებიდან მაქსიმუმ 1 (ერთი) თვის ვადაში, თუ კანონმდებლობით ან/და საერთაშორისო პრაქტიკით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. პრეტენზიასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შესახებ **კლიენტს** ეცნობება მოთხოვნილი ფორმის მეშვეობით: წერილობით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით (ელექტრონული, ციფრული ან სხვა). პრეტენზიის განხილვის პროცედურასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია **ბანკის** ვებგვერდზე: <https://credobank.co/3BDT1Z9> და ტელეფონის ნომერზე: 032 2424242.

4.16. **საკრედიტო ხელშეკრულების** ფარგლებში ნებისმიერ კორესპონდენციას, შეტყობინებას, სასამართლო გზავნილს, გამარტივებული წარმოების დაწყებისთვის კანონით განსაზღვრულ შეტყობინებას, სააღსრულებო/სპეციალისტის შეტყობინებას **ბანკი კლიენტს** გაუგზავნის/ჩააბარებს **საკრედიტო ხელშეკრულებაში/განაცხადში** დაფიქსირებულ **კლიენტის** ელექტრონულ ფოსტაზე, ტელეფონის ნომერზე, მისამართზე, დისტანციურ არხში MyCredo - ინტერნეტ/მობაილ ბანკში ან/და სხვა საკონტაქტო რეკვიზიტზე

* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები, ასევე, მინიმალური მონაცემები.

* შენიშვნა! ფრცხილებში ინფორმაცია ჩაიწერება ინდივიდუალურად კრედიტის ვადიდან და მოცულობიდან გამომდინარე

** შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.

„შენიშვნა! ცისფრად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და ყველა ტექსტი არ იქნება გამოყენებული.

შეტყობინების გაგზავნით. ასევე, კლიენტის მიერ საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ დაფიქსირებულ სხვა საკონტაქტო რეკვიზიტზე შეტყობინების გაგზავნით.

4.17. წინამდებარე საკრედიტო ხელშეკრულებით განსაზღვრული ნებისმიერი წერილი/შეტყობინება/გზავნილი ჩაბარებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ კლიენტს შეტყობინება გაეგზავნება ბანკისთვის ცნობილ ბოლო ფაქტობრივ/რეგისტრირებულ მისამართზე ან/და ელექტრონულ მისამართზე ან/და MyCredo-ინტერნეტ/მოზაილ ბანკში, მიუხედავად იმისა, თუ ადრესატმა შეიცვალა საცხოვრებელი /ელექტრონული მისამართი ან/და ადრესატი თავს არიდებს შეტყობინების მიღებას ან/და მის მიერ საცხოვრებელი/ელექტრონული მისამართის ცვლილების შესახებ ინფორმაცია არ იქნა მიწოდებული ბანკისთვის. ბანკი/სასამართლო/აღსრულების ეროვნული ბიურო/სპეციალისტი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ თავად განსაზღვროს წერილის/გზავნილის/გადაწყვეტილების/შეტყობინების გაგზავნა/ჩაბარებისთვის მისამართის/არხის არჩევის წესი.

4.18. ბანკის მიერ, მის ხელთ არსებულ კლიენტის საკონტაქტო რეკვიზიტებზე გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება სრულად და ჯეროვნად გაგზავნილად და კლიენტისთვის ჩაბარებულად, მიუხედავად იმისა კლიენტს ფაქტობრივად ჩაბარდება თუ არა შეტყობინება, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს, როგორც უშუალოდ კლიენტის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ შეტყობინების განზრახ ჩაუბარებლობით, ისე კლიენტი მიერ საკონტაქტო მონაცემის (მათ შორის საცხოვრებელი მისამართის) ცვლილებით.

4.19. ბანკი

უფლებამოსილია შეტყობინება კლიენტის/მოვალის ელექტრონულ მისამართზე გაგზავნოს ნებისმიერი ელექტრონული მისამართიდან, რომლიც იდენტიფიცირდება ბანკის დომენური სახელით: @credo.ge, ხოლო კლიენტი ვალდებულია ნებისმიერი პასუხი გააგზავნოს წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე: info@credo.ge. (შენიშვნა: წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი გზავნილი/შეტყობინება კლიენტისთვის ჩაბარებულად ჩაითვლება მის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრულ მისამართ(ებ)ზე გაგზავნის გზით და ოჯახის ქმედუნარიან წევრზე ჩაბარებით ან/და კანონმდებლობით დადგენილი სხვა წესით).

4.20. საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში წაჭრილი ნებისმიერი დავა, პირველ ეტაპზე წყდება მოლაპარაკებით. მოლაპარაკების უშედეგოდ დასრულების შემთხვევაში ან/და თუ რომელიმე მხარე ჩათვლის, რომ მოლაპარაკების დაწყება იქნება უშედეგო, თითოეული მხარე უფლებამოსილია მოლაპარაკების გარეშე, პირდაპირ მიმართოს სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

4.21. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე საკრედიტო ხელშეკრულების შინაარსს კლიენტი გაეცნო და ეთანხმება, ასევე ადასტურებს რომ სრულად ფლობს ხელშეკრულების ენას, ხელშეკრულების ენასთან დაკავშირებით მისი გაფორმების დროისთვის ასევე სამომავლოდ არ გააჩნია პრეტენზია.

* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები, ასევე, მინიმალური მონაცემები.
* შენიშვნა! ფრცხილებში ინფორმაცია ჩაიწერება ინდივიდუალურად კრედიტის ვადიდან და მოცულობიდან გამომდინარე
** შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.
„შენიშვნა! ცისფრად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და ყველა ტექსტი არ იქნება გამოყენებული.

დანართი N1

საკრედიტო ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

1. საკრედიტო ხელშეკრულების არსებითი პირობები

- 1.1. საკრედიტო ხელშეკრულების ხელმოწერა არ გულისხმობს **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** საბანკო კრედიტით ან მისი ნაწილით სარგებლობის უფლების მინიჭებას და საბანკო კრედიტის თანხის ფაქტობრივ გაცემამდე (თუ უშუალოდ საკრედიტო ხელშეკრულებით ან/და გენერალური ხელშეკრულებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სხვა პირობა არ არის განსაზღვრული) **ბანკი** უფლებამოსილია, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, უარი განუცხადოს **კლიენტს** საბანკო კრედიტით ან მისი ნაწილით სარგებლობაზე/ათვისებაზე. ასევე, **მხარეები** თანხმდებიან, რომ თუ **კლიენტის** რომელიმე ანგარიშზე იარსებებს რაიმე სახის საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვა (მათ შორის ინკასო ან/და ყადაღა) ან/და **კლიენტს** ექნება რაიმე სახის ვალდებულება **ბანკის** წინაშე, **ბანკი** უფლებამოსილი იქნება: ა) არ ჩაურიცხოს **კლიენტს** საბანკო კრედიტის თანხა, როგორც სრულად, ისე ნაწილობრივ; ან/და ბ) დაბლოკოს **კლიენტის** ნებისმიერ ანგარიშზე არსებული თანხა (მათ შორის საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე ჩარიცხული თანხა); ან/და გ) **კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე, ჩამოჭრას მის ნებისმიერ ანგარიშზე არსებული თანხა და მიმართოს **ბანკის** წინაშე არსებული ვალდებულების შესასრულებლად (სრულად ან ნაწილობრივ). ამასთან, თუ **კლიენტის** ანგარიშზე არსებული თანხა და **კლიენტის** მიმართ არსებული **ბანკის** მოთხოვნა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკი** უფლებამოსილია განახორციელოს კონვერტაცია **ბანკის** მიერ დადგენილი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტირებული თანხა მიმართოს **კლიენტის** ვალდებულების სრულად ან ნაწილობრივ დასაფარად.
- 1.2. საბანკო კრედიტის გაცემა მოხდება საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში. ასევე, **მხარეები** თანხმდებიან, რომ თუ საქართველოს კანონმდებლობით ან/და **ბანკის** გადაწყვეტილებით მოთხოვნილი იქნება **კლიენტის** გადახდისუნარიანობის შესწავლა, **ბანკის** მიერ საბანკო კრედიტის გაცემა მოხდება მას შემდეგ, რაც **ბანკის** მიერ დადგენილი წესების/პროცედურებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესების შესაბამისად მოხდება **კლიენტის** გადახდისუნარიანობისა და **კლიენტის** მიერ **ბანკისათვის** მიწოდებული ინფორმაციის (მათ შორის საბანკო კრედიტის განაცხადში დაფიქსირებულის) დამუშავება/გადამოწმება, იმ პირობით, რომ აღნიშნული ინფორმაციის დამუშავების/გადამოწმების შედეგები მისაღები იქნება **ბანკისთვის**. ამასთან, **მხარეები** ადასტურებენ, რომ, თუ ნებისმიერი მიზეზით, ზემოაღნიშნული ინფორმაციის დამუშავება/გადამოწმება ვერ დასრულდება საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში, **ბანკი** უფლებამოსილია უარი განაცხადოს საბანკო კრედიტის გაცემაზე ან გააგრძლოს აღნიშნული 7 დღიანი ვადა არაუმეტეს 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღემდე, საკუთარი შეხედულებისამებრ.
- 1.3. საბანკო კრედიტის დაფარვის გრაფიკით გათვალისწინებულ ვადაში გადასახდელი თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში **კლიენტს** დაერიცხება პირგასამტეხლო დარჩენილი სრული ძირითადი თანხის 0.27%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე (პირგასამტეხლოს დარიცხვა მოხდება მაქსიმუმ 275 დღის განმავლობაში, ყოველ ვადაგადაცილებაზე) და დამატებით ერთჯერადი პირგასამტეხლო 20 (ოცი) ლარის (ან შესაბამისი მოცულობის უცხოური ვალუტის) ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებაზე. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ **ბანკი** უფლებამოსილია, **კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე, საკუთარი შეხედულებისამებრ, **კლიენტისთვის** არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე გაზარდოს ამ პუნქტით განსაზღვრული პირგასამტეხლოს მოცულობა, არაუმეტეს გაზრდის მომენტისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კანონმდებლობით არ იქნება დადგენილი მაქსიმალური ოდენობა, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტისთვის** წინასწარ გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე, გაზარდოს პირგასამტეხლოს მოცულობა შემდეგი პირობების დაცვით: ყოველ პირველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი ერთჯერადი ჯარიმის

* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები, ასევე, მინიმალური მონაცემები.

* შენიშვნა! ფრცხილებში ინფორმაცია ჩაიწერება ინდივიდუალურად კრედიტის ვადიდან და მოცულობიდან გამომდინარე

** შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.

„შენიშვნა! ცისფრად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და ყველა ტექსტი არ იქნება გამოყენებული.

ოდენობა - დარჩენილი სრული ძირითადი თანხის არაუმეტეს 10%-მდე, ხოლო ყოველ მომდევნო ვადაგადაცილებულ დღეზე - დარჩენილი სრული ძირითადი თანხის არაუმეტეს 1%-მდე. ასევე, ყოველგვარი ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, **მხარეები** ადასტურებენ, რომ **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, **ბანკის** მიერ დადგენილი შიდა პროცედურებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეამციროს ამ პუნქტით განსაზღვრული პირგასამტეხლოს მოცულობა, რაც არ საჭიროებს **კლიენტის** დამატებით ინფორმირებას. **მხარეები** ადასტურებენ, რომ პირგასამტეხლოს დარიცხვა წარმოადგენს **ბანკის** უფლებას და არა ვალდებულებას.

- 1.4. საბანკო კრედიტის გადახდა მოხდება **საკრედიტო ხელშეკრულებაზე** თანდართული გრაფიკის მიხედვით. გრაფიკი შესაძლოა ითვალისწინებდეს სხვა ტიპის გადასახადებსაც. გრაფიკი თან ერთვის **საკრედიტო ხელშეკრულებას** და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. იმ შემთხვევაში, თუ **საკრედიტო ხელშეკრულებით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად, საბანკო კრედიტის გაცემა ხდება ნაწილ-ნაწილ (ტრანშებად), ყოველი მომდევნო ტრანშის გაცემის შემდეგ შესაძლებელია შედგეს ახალი (დამატებითი) გადახდის გრაფიკი, თუმცა **კლიენტის** მიერ აღნიშნულ გრაფიკზე ხელმოწერის არარსებობა არ შეიძლება გახდეს უარის თქმის საფუძველი **კლიენტის** მიერ **საკრედიტო ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე. ამასთან, თუ **საკრედიტო ხელშეკრულებით** ან/და **მხარეთა** დამატებითი შეთანხმებით სხვა პირობა არ იქნება განსაზღვრული, ყოველი ათვისებული ტრანშის ყოველთვიური გადახდის თარიღი იქნება იგივე, რაც განსაზღვრულია საწყისი გადახდის გრაფიკით.
- 1.5. თუ **კლიენტს ბანკის** წინაშე გააჩნია ერთზე მეტი ვადამოსული/ვადაგადაცილებული **საკრედიტო** დავალიანება, მათი დაფარვის რიგითობის არჩევა შესაძლებელი იქნება **ბანკის** სერვის-ცენტრში, სამუშაო დღის 16:00 საათამდე.
- 1.6. თუ **კლიენტს** გააჩნია რამდენიმე სახის ვადამოსული დავალიანება **ბანკის** წინაშე, როგორც უშუალო **საკრედიტო** ხელშეკრულებიდან, ისე ნებისმიერი სხვა სახის გარიგებიდან (მათ შორის **საკრედიტო ხელშეკრულებიდან**) გამომდინარე, აღნიშნული ვალდებულებების შესრულების რიგითობას ცალმხრივად განსაზღვრავს **ბანკი**. თუ **კლიენტი** არ ისარგებლებს 1.5 პუნქტით განსაზღვრული დაფარვის რიგითობის არჩევის წესით.
- 1.7. გრაფიკში მითითებული გადასახდელების გადახდა უნდა მოხდეს გრაფიკში მითითებულ თარიღებში, სამუშაო დღის 24:00 საათამდე, **კლიენტის** ანგარიშზე თანხის განთავსების გზით. თუ გრაფიკში მითითებული გადახდის თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, გადახდა უნდა მოხდეს მომდევნო სამუშაო დღეს, წინააღმდეგ შემთხვევაში არასამუშაო დღეს ნებისმიერ დროს განხორციელებული გადახდები აღირიცხება მომდევნო სამუშაო დღეს. ამ პუნქტის მიზნებისთვის არასამუშაო დღეებში იგულისხმება შაბათი, კვირა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეები.
- 1.8. **კლიენტის** მიერ გადახდილი ან/და მის ანგარიშზე არსებული თანხით, მათ შორის საბანკო კრედიტის სრულად ან ნაწილობრივ წინასწარ, ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში, პირველ რიგში იფარება დარიცხული ჯარიმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დარიცხული მომსახურების საკომისიოები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ დარიცხული საპროცენტო სარგებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში და ბოლოს გადასახდელი ძირი. ამასთან, **კლიენტის** ანგარიშზე საბანკო კრედიტის სრულად დასაფარად საკმარისი თანხის განთავსებით, ავტომატურად არ მოხდება საბანკო კრედიტის წინსწრებით დაფარვა, თუ ამას პირდაპირ არ ითვალისწინებს **საკრედიტო ხელშეკრულება** ან/და არ მოითხოვს **კლიენტი**.
- 1.9. საშელავათო პერიოდით სარგებლობის შემთხვევაში, კრედიტის ვადაზე ადრე სრულად ან ნაწილობრივ დაფარვისას/რეფინანსირებისას, პირველ რიგში დაიფარება დარიცხული ჯარიმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დარიცხული მომსახურების საკომისიოები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ დარიცხული საპროცენტო სარგებელი, მათ შორის გადახდის დღემდე საშელავათო პერიოდის განმავლობაში დარიცხული საპროცენტო სარგებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ბოლოს გადასახდელი ძირი. ამასთან, **კლიენტის** ანგარიშზე საბანკო კრედიტის სრულად დასაფარად საკმარისი თანხის განთავსებით, ავტომატურად არ მოხდება საბანკო კრედიტის წინსწრებით დაფარვა, თუ ამას პირდაპირ არ ითვალისწინებს **ხელშეკრულება** ან/და არ მოითხოვს **კლიენტი**.

* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები, ასევე, მინიმალური მონაცემები.

* შენიშვნა! ფრცხილებში ინფორმაცია ჩაიწერება ინდივიდუალურად კრედიტის ვადიდან და მოცულობიდან გამომდინარე

** შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.

„შენიშვნა! ცისფრად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და ყველა ტექსტი არ იქნება გამოყენებული.

- 1.10. **კლიენტის** მიერ საბანკო კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვის მოთხოვნისა და **კლიენტის** ანგარიშზე საკმარისი თანხის არსებობის შემთხვევაში, **ბანკი** ვალდებულია დაფაროს საბანკო კრედიტი არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში, თუმცა საბანკო კრედიტზე საპროცენტო სარგებლის დარიცხვა შეწყდება: ა) იმავე დღეს, თუ საბანკო კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვის მოთხოვნა მიღებულია სამუშაო დღეს; ბ) მომდევნო სამუშაო დღეს, თუ საბანკო კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვის მოთხოვნა მიღებულია არასამუშაო დღეს.
- 1.11. **ბანკს** უფლება აქვს ცალმხრივად შეცვალოს **საკრედიტო ხელშეკრულებაში** მითითებული პირგასამტეხლოს ოდენობები, მომსახურების (ყველა სახის მომსახურების საკომისიოს/გადასახადის, მათ შორის სმს და დისტანციური მომსახურების გადასახადის ოდენობა) ტარიფები, **კლიენტთან** დამატებითი შეთანხმების გარეშე. პირგასამტეხლობის/ჯარიმების, საკომისიოს ოდენობის (მომსახურების ტარიფების) ცვლილების შესახებ ინფორმაცია ცვლილებების ძალაში შესვლამდე 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში – არანაკლებ ერთი თვით ადრე პირადად ეცნობება კლიენტს წერილობით, სმს-ის, ელექტრონული ფოსტის ან/და კურიერის მეშვეობით. ამასთან, თუ **საკრედიტო ხელშეკრულებს** რაიმე პირობის ცვლილება აუმაღლებს **კლიენტის** მდგომარეობას, **ბანკი** თავისუფლდება შეტყობინების ვალდებულებისგან.
- 1.12. **კლიენტი** ადასტურებს, რომ **საკრედიტო ხელშეკრულების** გაფორმებამდე სრულად გაეცნო მის გაფორმებაზე გადაწყვეტილების მისაღებად ყველა საჭირო ინფორმაციას, **საკრედიტო ხელშეკრულებით** განსაზღვრული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დათვლისთვის გამოყენებული ყველა ფინანსური ხარჯის მოცულობას და დაანგარიშების წესს, შესაძლო სავალუტო რისკებს, მათ შორის იმას, რომ: ა) **კლიენტის** შემოსავლისა და საბანკო კრედიტის ვალუტის სხვაობა წარმოადგენს დამატებით რისკს; ბ) ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის არსებობის შემთხვევაში, შესაძლოა გაიზარდოს საბანკო კრედიტზე გადასახდელი თანხა; გ) საბანკო კრედიტის გადაუხდელობამ შესაძლოა გამოიწვიოს **კლიენტის** ანგარიშების დაყადაღება ან/და **კლიენტის** საკუთრებაში არსებული უძრავ-მომრავი ქონების რეალიზაცია საბანკო კრედიტის (მათ შორის მასზე დარიცხული პროცენტის, პირგასამტეხლოს და ნებისმიერი სხვა გადასახდელის) დასაფარად.
- 1.13. **კლიენტი** უფლებამოსილია პრეტენზიის (რომლის განხილვის პროცედურა განთავსებულია ბანკის ვებ-გვერდზე - <https://credobank.ge/protection/>) შემთხვევაში მიმართოს **ბანკის** ნებისმიერ სერვის-ცენტრს, წინამდებარე დანართით განსაზღვრული წესების შესაბამისად.
- 1.14. **ბანკი** უფლებამოსილია, **საკრედიტო ხელშეკრულების** მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, **კლიენტს** მოსთხოვოს ნებისმიერი სახის დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენა, რაც დაკავშირებული იქნება **კლიენტის** მიერ **საკრედიტო ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ვალდებულების შესრულებაზე სრული ინფორმაციის მიღებასთან/მონიტორინგთან.
- 1.15. **მხარეები** თანხმდებიან, რომ თუ **საკრედიტო ხელშეკრულებით** განსაზღვრულია საბანკო კრედიტის გამოყენების მიზნობრიობა, **ბანკი** უფლებამოსილია, საბანკო კრედიტის თანხა (სრულად ან ნაწილობრივ) **კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე გადარიცხოს **საკრედიტო ხელშეკრულებით** (ან/და შესაბამისი განაცხადით) განსაზღვრული მესამე პირის (მიმღების) ანგარიშზე.
- 1.16. თუ **საკრედიტო ხელშეკრულებით** განსაზღვრული საპროცენტო სარგებლის მოცულობა დაკავშირებულია რაიმე სახის საჯარო ინდექსზე და თუ აღნიშნული ინდექსის ცვლილება გავლენას ახდენს საპროცენტო სარგებლის მოცულობაზე, **ბანკი** აცნობებს **კლიენტს** აღნიშნულის შესახებ სმს-ის, ელექტრონული ფოსტის ან/და **ბანკის** ვებ-გვერდზე შესაბამისი ინფორმაციის განთავსების გზით, საჯარო ინდექსის ცვლილებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, თუმცა **ბანკის** მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა არ ათავისუფლებს **კლიენტს** ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.
- 1.17. თითოეული **კლიენტი** უფლებამოსილია წარმოადგინოს დანარჩენი **კლიენტ(ებ)ი ბანკთან** ურთიერთობაში. მათ შორის, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, დაფაროს **საკრედიტო ხელშეკრულებიდან** გამომდინარე, ნებისმიერი **კლიენტის** ვადამოსული ან/და ვადამოუსვლელი ვალდებულება (როგორც სრულად, ისე ნაწილობრივ), დანარჩენი **კლიენტების** სახელით ხელი მოაწეროს როგორც **საკრედიტო ხელშეკრულების** პირობების ცვლილების დოკუმენტს (მათ შორის **საკრედიტო ხელშეკრულების** თავსართს, გადახდის გრაფიკს და ა.შ.), შეცვალოს გადახდის თარიღი და შეასრულოს ყველა სხვა მოქმედება, როგორც სოლიდარულმა მოვალემ.

* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები, ასევე, მინიმალური მონაცემები.

* შენიშვნა! ფრეზილებში ინფორმაცია ჩაიწერება ინდივიდუალურად კრედიტის ვადიდან და მოცულობიდან გამომდინარე

** შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.

„შენიშვნა! ცისფრად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და ყველა ტექსტი არ იქნება გამოყენებული.

1.18. მხარეები თანხმდებიან, რომ საკრედიტო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის კომუნიკაცია განხორციელდება ქართულ ენაზე. ამასთან, თუ ხელშეკრულება გაფორმებულია სხვა ენაზე, ხელშეკრულების ფარგლებში მხარეთა შორის კომუნიკაცია წარმოებს იმ ენაზე (ენებზე), რომელ(ებ)ზეც შედგენილია წინამდებარე ხელშეკრულება.

2. კონფიდენციალურობა და კლიენტის პერსონალური მონაცემების დამუშავება

2.1. მხარეები თანხმდებიან, რომ საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი სახის ინფორმაცია არის კონფიდენციალური და მისი მესამე პირისათვის სრულად ან ნაწილობრივ გადაცემა დაუშვებელია მეორე მხარის წინასწარი თანხმობის გარეშე. ამასთან, აღნიშნული შეზღუდვა არ ეხება ინფორმაციას:

2.1.1. თუ უშუალოდ საკრედიტო ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, მისი გადაცემა შესაძლებელია მესამე პირისათვის.

2.1.2. თუ ის ცნობილი იყო მხარისათვის საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმებამდე, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

2.1.3. რომლის მესამე პირისათვის გადაცემა სავალდებულოა საქართველოს კანონმდებლობით.

2.2. კრედიტ ბანკი ([Tel:*4242](tel:*4242), www.credobank.ge) კლიენტის სასესიო განაცხადში მითითებულ მონაცემებს (საკონტაქტო, მაიდენტიფიცირებელი, ფინანსური მონაცემები) ამუშავებს კლიენტთან საკრედიტო გარიგების დადების მიზნით, რაც კლიენტის თანხმობასთან ერთად წარმოადგენს ბანკის მიერ მონაცემების დამუშავების კანონმდებლობით განსაზღვრულ სამართლებრივ საფუძველს. კლიენტის პერსონალური მონაცემები შესაძლოა, დამუშავდეს კრედიტ ბანკის მიერ, მხოლოდ აღნიშნული პუნქტით განსაზღვრული მიზნის ფარგლებში.

2.3. მონაცემების დამუშავება აუცილებელი პირობაა კლიენტთან შესაბამისი ხელშეკრულების დასადასტურებლად. ბანკი კლიენტის მონაცემებს შეინახავს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია ინფორმაციის დამუშავების მიზნის მისაღწევად კანონმდებლობითა და შიდა წესებით დადგენილი შენახვის ვადების გათვალისწინებით.

2.4. კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, კლიენტს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია, მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე კრედიტ ბანკში. კლიენტს შეუძლია მოითხოვოს როგორც მონაცემთა გაცნობა, ისე მათი ასლების გადმოცემა. ასევე, მონაცემის დაბლოკვა, ცვლილება, გასწორება, განახლება, შევსება, დამატება, გადატანა, გასაჩივრება, მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ. კლიენტს ასევე უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, ყოველგვარი განმარტების ან დასაბუთების გარეშე გაიხმოს მის მიერ გაცემული თანხმობა(ები) იმავე ფორმით, რომლითაც თანხმობა განაცხადა. ამ შემთხვევაში, მისი მოთხოვნის შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა დამუშავება შეწყდება თუ არ არსებობს მათი დამუშავების სხვა საფუძველი. თანხმობ(ებ)ის გამოხმობა არ იწვევს თანხმობ(ებ)ის გახმობამდე აღნიშნული თანხმობ(ებ)ის ფარგლებში წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას. ამ შემთხვევაში, მონაცემთა დამუშავება შეწყდება ან/და დამუშავებული მონაცემები წაიშლება ან განადგურდება მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, თუ მონაცემთა დამუშავების სხვა საფუძველი არ არსებობს. თანხმობის გამოხმობამდე კლიენტს უფლება აქვს, მიიღოს ინფორმაცია თანხმობის გამოხმობის შესაძლო შედეგების შესახებ.

2.5. ყოველგვარი ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, ბანკი უფლებამოსილია, კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე:

2.5.1. კლიენტის შესახებ მის ხელთ არსებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია (მათ შორის, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, კლიენტისა და მისი აქციონერების/დამფუძნებლების და მათ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების საიდენტიფიკაციო მონაცემები, ინფორმაცია მიმდინარე ვალდებულებების, მათი უზრუნველყოფის საშუალებების/საგნების, სასამართლო, საარბიტრაჟო ან/და დავის განმხილველ სხვა ორგანოში არსებული/დასრულებული საქმისწარმოების შესახებ) მრავალჯერადად გადასცეს სს „კრედიტინფო საქართველოს“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204470740) ან/და მსგავსი ფუნქციის მქონე პირს.

* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები, ასევე, მინიმალური მონაცემები.

* შენიშვნა! ფრეზილებში ინფორმაცია ჩაიწერება ინდივიდუალურად კრედიტის ვადიდან და მოცულობიდან გამომდინარე

** შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.

„შენიშვნა! ცისფრად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და ყველა ტექსტი არ იქნება გამოყენებული.

- 2.5.2.სს „კრედიტინფო საქართველოს“ ან/და ნებისმიერ, მსგავსი ფუნქციის მქონე პირს მისცეს თანხმობა, რომ მათ **ბანკის** მიერ მიწოდებული, სტანდარტული პირობების 2.2.1. ქვეპუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია მრავალჯერადად გადასცენ ისეთ მესამე პირს, რომელიც შესაბამისი გარიგების საფუძველზე თავადაც აწვდის სს „კრედიტინფო საქართველოს“ ან/და მსგავსი ფუნქციის მქონე პირს აღნიშნულ ინფორმაციას, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში.
- 2.5.3.სს „კრედიტინფო საქართველოსგან“ ან/და მსგავსი ფუნქციის მქონე პირისგან მრავალჯერადად მოიძიოს სტანდარტული პირობები 2.2.1. ქვეპუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტს** გააჩნია აქტიური საკრედიტო ვალდებულება **ბანკის** წინაშე.
- 2.5.4.**კლიენტისათვის** ნებისმიერი სახის საბანკო მომსახურების (მათ შორის საკრედიტო, სადეპოზიტო და სხვა) შეთავაზების/გაწევის მიზნით, მრავალჯერადად გადაამოწმოს **კლიენტის** პერსონალური მონაცემები სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონულ ბაზაში, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში.
- 2.5.5.**კლიენტის** შესახებ მის ხელთ არსებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია გადასცეს მესამე პირს (მათ შორის **ბანკის** კრედიტორებს), თუ აღნიშნული გადაცემა აუცილებელია **ბანკის** უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის, **ბანკის** მიერ მესამე პირების წინაშე სხვადასხვა გარიგებებით ნაკსრი ვალდებულებების შესრულებისათვის, **კლიენტის** მიმართ არსებული რაიმე სახის მოთხოვნის მესამე პირისათვის დასათმობად (მათ შორის აღნიშნულ მესამე პირთან მოლაპარაკების პროცესში), **კლიენტის** მიერ **საკრედიტო ხელშეკრულებით** ნაკსრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის ან/და **კლიენტისათვის** რაიმე სახის მომსახურების/პროდუქტის შეთავაზების ან/და რაიმე სახის ინფორმაციის მიწოდების მიზნით.
- 2.5 პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის საკონტაქტო ინფორმაცია: ეკა ბერიანიძე - personaldata@credo.ge.

3. პრეტენზიები და დავები

- 3.1. **კლიენტის** მიერ პრეტენზიის დაფიქსირება შესაძლებელია როგორც **ბანკის** სერვისცენტრებში, ისე ვებ-გვერდის <https://credobank.co/47W9kg0>, **ბანკის** ოფიციალური „ფეისბუქის“ გვერდის <https://www.facebook.com/CredoBank> ან/და **ბანკის** სატელეფონო ცენტრის (ნომერი: 032 2424242) მეშვეობით, ზეპირი, წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით. სტანდარტული წერილობითი პრეტენზიის ფორმა ხელმისაწვდომია **ბანკის** ნებისმიერ სერვის-ცენტრში. პრეტენზიის განხილვის პროცედურის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ვებ-გვერდზე <https://credobank.co/3BDT1Z9>. პრეტენზიას განიხილავს **ბანკის** მომხმარებელთა პოზიტიური გამოცდილების მართვის დეპარტამენტი.
- 3.2. **ბანკის** მიერ პრეტენზიის გახილვა მოხდება საქართველოს კანონმდებლობისა და ბანკში დადგენილი პროცედურების შესაბამისად და **კლიენტისათვის** პასუხის დაბრუნება მოხდება ნებისმიერი ფორმით პრეტენზიის მიღებიდან მაქსიმუმ 1 (ერთი) თვის ვადაში, თუ კანონმდებლობით ან/და საერთაშორისო პრაქტიკით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. პრეტენზიასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შესახებ **კლიენტს** ეცნობება მოთხოვნილი ფორმის მეშვეობით: წერილობით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით (ელექტრონული, ციფრული ან სხვა).
- 3.3. პრეტენზიის განხილვი პროცედურასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია **ბანკის** ვებგვერდზე: <https://credobank.co/3BDT1Z9> და ტელეფონის ნომერზე: 032 2424242.
- 3.4. **საკრედიტო ხელშეკრულების** ფარგლებში წამოჭრილი ნებისმიერი დავა, პირველ ეტაპზე წყდება მოლაპარაკებით. მოლაპარაკების უშედეგოდ დასრულების შემთხვევაში ან/და თუ რომელიმე **მხარე** ჩათვლის, რომ მოლაპარაკების დაწყება იქნება უშედეგო, თითოეული **მხარე** უფლებამოსილია მოლაპარაკების გარეშე, პირდაპირ მიმართოს სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

4. ზოგადი პირობები

- 4.1. **საკრედიტო ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ვალდებულებები **კლიენტმა** უნდა შეასრულოს პირადად. **კლიენტი** არ არის უფლებამოსილი **საკრედიტო ხელშეკრულებიდან** გამომდინარე უფლება-მოვალეობები

* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები, ასევე, მინიმალური მონაცემები.

* შენიშვნა! ფრცხილებში ინფორმაცია ჩაიწერება ინდივიდუალურად კრედიტის ვადიდან და მოცულობიდან გამომდინარე

** შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.

„შენიშვნა! ცისფრად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და ყველა ტექსტი არ იქნება გამოყენებული.

სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს, **ბანკის** წინასწარი თანხმობის გარეშე, თუმცა აღნიშნული შეზღუდვა არ გამოორიცხავს **ბანკის** უფლებამოსილებას, რომ ნებისმიერი შესრულება (როგორც ვადამოსული, ისე ვადამოუსვლელი მოთხოვნის) მიიღოს მესამე პირისგან.

- 4.2. იმ შემთხვევაში, თუ **საკრედიტო ხელშეკრულების** რაიმე პირობა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ვერ გავრცელდება **კლიენტზე** მისი სტატუსიდან გამომდინარე, აღნიშნული არ გამოიწვევს **საკრედიტო ხელშეკრულების** სრულად ბათილობას და **კლიენტზე** გავრცელდება მხოლოდ ის პირობები, რომლებიც მისი სტატუსიდან გამომდინარე შესაძლებელია რომ გავრცელდეს მასზე.
- 4.3. ყველა საკითხი, რაც არ არის დარეგულირებული **საკრედიტო ხელშეკრულებით**, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 4.4. **მხარეები თანხმდებიან, რომ** წინამდებარე **საკრედიტო ხელშეკრულება** შედგენილია ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი** არ ფლობს ქართულ ენას, **საკრედიტო ხელშეკრულება** შესაძლებელია დამატებით გაფორმდეს მისთვის გასაგებ უცხო ენაზეც. იმ შემთხვევაში თუ, ხელშეკრულების დამატებითი ვერსია შედგენილია სხვა ენაზე, ხელშეკრულების სხვადასხვა ენებზე შედგენილ ვერსიებს შორის შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, აღნიშნული ვერსიების განმარტების თაობაზე წარმოშობილი ნებისმიერი დავის ფარგლებში, უპირატესობა მიენიჭება ქართულ ენაზე შედგენილი **საკრედიტო ხელშეკრულების** ვერსიას.
- 4.5. **საკრედიტო ხელშეკრულების** თითო იდენტური ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს.